ს.ს.ი.პ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ოქტომბერი, 2026 წ.

ბრძანება №01-10/104

ბსუ-ს მოკლევადიან პროგრამაზე **„ქართული ენა უცხოელთათვის"**
სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის" დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის №01-02/260 ბრძანების,** „ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის **№07-01/04 გადაწყვეტილების,** ამავე ცენტრის მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოთაძის 2026 წლის 27 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (№1530081) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ქართული ენა უცხოელთათვის"** (სულ 600 საკონტაქტო საათი, ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: 6-15) სწავლის საფასური განისაზღვროს 2000 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარში, უცხოელისათვის/უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის/მოქალაქეობის არმქონე პირისათვის ან/და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული საქართველოს მოქალაქისათვის (ერთი მსმენელისათვის).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. ბრძანება ამოქმედდეს 2026-2027 სასწავლო წლიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**